ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:№87. 8723214001
თარიღი:02/08/2023

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი № 9

ქ. ახმეტა 2 აგვისტო, 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ. ქიბროწაშვილი, გ.შაშიაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, თ.ყეინიშვილი,

კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი,

რ.გახუაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.მამუჩარაშვილი,

ე.ბაღაკაშვილი,ზ.ფიცხელაური, გ.ონიაშვილი,

დ.ავაზაშვილი, თ.მოზაიძე, ლ. მუთოშვილი,

ფ.შიომღვდლიშვილი, კ.მუხაური,ს.ბაბულაიძე,

ლ.ჭიჭიკოშვილი,ე.მარკოზაშვილი, შ.ტერტერაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: დღის ცენტრი ,,მედინა 2015“-ის წარმომადგენლები, მედეა ბორჩაშვილი და ნათელა ალდამოვი.

სხდომა გაიხსნა 12 ^{00} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტები.

დღის წესრიგი

1. **საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი- ილია გუმაშვილი/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 96144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მაღრაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8443.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.09.31.278) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 856.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.10.36.273) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ - 50.04.42.100) პირველ სართულზე მდებარე 55.0 კვ.მ. ფართობის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იოსებ ქარუმაშვილის შვებულების შესახებ;

/მომხსენებელი - იოსებ ქარუმაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტებს.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 8 - თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი, ლ.ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბულაიძე.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი- ილია გუმაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების (შემდგომ - ზედამხედველობის განყოფილება) საჯარო მოსამსახურეებს მიენიჭოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, 209[3] მუხლით (გარდა ამ კოდექსის 46[5], 46[6], 172[8] და 172[9] მუხლებით

გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა), საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (შემდგომ - „ნარჩენების მართვის კოდექსი“) 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის და საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება.

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებზედაც ოქმის შედგენის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლით მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტს (გარდა 43^1, 43^2, 46^5, 46^6, 172^8, 172^9 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა), აგრეთვე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის (როდესაც ადგილზე არ შედგება საჯარიმო ქვითარი) უფლებამოსილება მიენიჭოს ზედამხედველობის განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების (შემდგომ - ბავშვის უფლებათა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება) საჯარო მოსამსახურეებს მიენიჭოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო - 8 თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი, ლ.ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბულაიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 22 საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება დანართის შესაბამისად.

დანართი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო -8 თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი, ლ.ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბულაიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 23 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 96144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1. განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 96144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

   ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -4960.00 (ოთხიათას ცხრაასსამოცი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 (ოცი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო -8 თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი, ლ.ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბულაიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 24 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 96144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მაღრაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8443.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.09.31.278) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მაღრაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8443 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.09.31.278) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -735.00 (შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 (ოცი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო -8 თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი, ლ.ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბულაიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 25 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მაღრაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8443.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.09.31.278) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 856.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.10.36.273) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 856.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.10.36.273) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით -200.00 (ორასი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 10 (ათი) წლით.

დავით ავაზაშვილმა გააკეთა განცხადება, საკითხი დასაზუსტებელი და შესასწავლია, რის გამოც საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნული პროექტის უკან დაბრუნებას.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ - 50.04.42.100) პირველ სართულზე მდებარე 55.0 კვ.მ. ფართობის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ - 50.04.42.100) პირველ სართულზე მდებარე 55.0 კვ.მ. ფართობის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 202051536) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემა 2 (ორი) წლის ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 25

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 26 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ - 50.04.42.100) პირველ სართულზე მდებარე 55.0 კვ.მ. ფართობის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იოსებ ქარუმაშვილის შვებულების შესახებ;

/მომხსენებელი - იოსებ ქარუმაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება კუთვნილი შვებულების შესახებ, რაზეც საკრებულოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 27 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იოსებ ქარუმაშვილის შვებულების

შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13:05 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი